საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს
ბატონ გიორგი კვერენჩხილაძეს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 3 ივლისის №01/25181 წერილს "ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის შექმნის შესახებ" კონვენციასთან შეერთების თაობაზე.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა, კონვენციის XX მუხლის a პუნქტის მე-3 ქვეპუნქტისა და II დანართის b პუნქტის თანახმად, მისი სავალდებულოდ აღიარება უნდა მოხდეს საქართველოს პარლამენტის მიერ შეერთების გზით. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1[1] პუნქტის შესაბამისად, კონვენციას საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტი, რაც საჭიროებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციას.

ამასთან, გაცნობებთ, რომ აღნიშნული კონვენციის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ კერესელიძე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ უზრუნველყოთ საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი სამართლებრივი აქტის მომზადება და მისი კონტრასიგნაციის მიზნით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენა.

პატივისცემით,

შალვა თადუმაძე
საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

№56027
08.07.2015წ.

საქართველო, 0114 თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
7 INGOROKVA STR. TBILISI, 0114, GEORGIA

ტელ/TEL: (+995 32) 2990900
WWW.E.GOV.GE

# საქართველო

25181-01-2-201507030859

**საგარეო საქმეთა**
**სამინისტრო**

№ 01/25181
03/07/2015

*ფრიად სასწრაფო*

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს პარლამენტში შეერთებისათვის წარდგენის უზრუნველყოფისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ კონტრასიგნაციის განხორციელების მიზნით, გიგზავნით „ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის შექმნის შესახებ" კონვენციის ინგლისურენოვანი ორიგინალის ასლსა და ქართულენოვან ოფიციალურად დამოწმებულ თარგმანს, შესაბამისი უწყებების დასკვნებს, შეთანხმების ფურცელსა და განმარტებითი ბარათს.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აღნიშნული კონვენციის XX მუხლიდან და II დანართის B პუნქტიდან გამომდინარე, საქართველოს მიერ კონვენციის სავალდებულოდ აღიარება უნდა განხორციელდეს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით კონვენციასთან შეერთების თაობაზე.

ზემოაღნიშნული კონვენციის პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მომხსენებლად დაინიშნოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი.

დანართი: *განმარტებითი ბარათი;*
*კონვენციის ქართულენოვანი ტექსტი;*
*კონვენციის ინგლისურენოვანი ტექსტი;*
*უწყებათაა დასკვნები;*
*შეთანხმების ფურცელი.*

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

№ 55405
03 07 2015
42

0118 თბილისი, შოთა ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+995 32) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

# საქართველო

22460-01-2-201506161448

**საგარეო საქმეთა**
**სამინისტრო**

№ 01/22460
16/06/2015

**დასკვნა**
**„ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის შექმნის შესახებ“**
**კონვენციის თაობაზე**

საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა „ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის შექმნის შესახებ“ კონვენცია და მის მიმართ გააჩნია შემდეგი ხასიათის შენიშვნები და წინადადებები:

საქართველოს მიერ კონვენციის სავალდებულოდ აღიარების თაობაზე თანხმობა გამოხატულ უნდა იქნას შეერთების გზით, კონვენციის XX მუხლის "a" პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის შესაბამისად.

მიზანშეწონილია, კონვენციის ქართულენოვანი თარგმანის XVIII, XX, XXI, XXII და XXIII მუხლები შესწორდეს მთარგმნელობითი და სტილისტური თვალსაზრისით. ასევე, ინგლისურენოვან ტექსტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მართებულია, ქართულენოვან ტექსტში, მუხლების ქვეპუნქტების ნუმერაცია შეიცვალოს ლათინური ანბანის შესატყვისებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი კონვენციის საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარება.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო

MINISTRY OF FINANCE
OF GEORGIA

N 07-02/58696
09/06/2015

58696-07-02-2-201506091014

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 21 მაისის №01/18919 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციაში (EPPO) გაწევრიანების საკითხს გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აღნიშნულ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების წინააღმდეგი არ არის.

ამასთან, ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის გარეშე.

დავით ლეჟავა

მინისტრის მოადგილე

ქ.თბილისი, 0114, გ. გორგასლის ქ. №16, ტელ.:2261412, ფაქსი: 2262409, ელ.ფოსტა: info@mof.ge
16 Gorgasali Street, Thilisi 0114, Georgia, Tel.: 2261412, Fax:2262409, E-mail: info@mof.ge

# საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
# MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

KA060107216070915

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6, ტელ 2727200, 2727220, ფაქსი 2727237, www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel.(+995 32) 2727200, 2727220, Fax 2727237, www.moe.gov.ge


**# 4077** **10 / ივნისი / 2015 წ.**

საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტროს საერთაშორისო
სამართლებრივი დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ ირინე ბართაიას

ქალბატონო ირინე,

მიმდინარე წლის 21 მაისის №01/18917 წერილის პასუხად, რომელიც ეხება „ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის (EPPO) შექმნის შესახებ" კონვენციის თაობაზე ჩვენი უწყების კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნებისა და კომენტარების მოწოდებას, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ კონვენციასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

დეპარტამენტის უფროსი ნ. თხილავა ნინო თხილავა

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
# MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24ა ტელ. 2 40-51-48, 2 40-58-36, ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Georgasali str., 0114, Tbilisi, Tel. 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge


№4090 GB010139039691415

25 / მაისი / 2015 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2015 წლის 21 მაისის №01/18918 წერილით წარმოდგენილი კონვენცია „ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის (EPPO) შექმნის შესახებ" და გაცნობებთ შემდეგს:

კონვენციის სავალდებულოდ აღიარების შემთხვევაში საქართველო ხდება რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. აღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს კონსტიტუციის" 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და კონვენციის XX მუხლის „a" პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტების თანახმად, კონვენციის საქართველოსთვის სავალდებულოდ აღიარება შესაძლებელია მოხდეს მისი ხელმოწერით, რის შემდეგაც საჭირო იქნება საქართველოს პარლამენტის მიერ მისი რატიფიცირება ან საქართველოს პარლამენტის მიერ კონვენციასთან შეერთების გზით.

კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის XX მუხლის „a" პუნქტი შესაბამისობაშია მოსაყვანი ინგლისურენოვან ტექსტთან.

ზ. ლორთქიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 1 15 01089444

21/05/2015

**პასუხი: „ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის (EPPO) შექმნის შესახებ"**

<u>ფრიადსასწრაფო</u>

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორს,
ქალბატონ **ირინე ბართაიას**

ქალბატონო ირინე,

თქვენი მიმდინარე წლის 21 მაისის N01/18920 წერილის პასუხად, რომელიც ეხება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებულ „ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის (EPPO) შექმნის შესახებ" კონვენციასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დასკვნის მოწოდების საკითხს, გაცნობებთ, რომ სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი კონვენციის საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარების წინააღმდეგი არ არის.

პატივისცემით,

**შალვა კვინიხიძე**
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის დირექტორი

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia Tel.: (+995 32) 2411006 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

დეპარტამენტის დირექტორი
შალვა კვინიხიძე

სოფლის მეურნეობის
სამინისტრო
MINISTRY OF
AGRICULTURE

საქართველო
GEORGIA

5225-01-2-201506171807

N 5225/01
17/06/2015

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

თქვენი 2015 წლის 17 ივნისის 01/22550 წერილის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის შექმნის შესახებ" კონვენციის შეთანხმების ფურცელს და „ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის შექმნის შესახებ" კონვენციის საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლად ნ. კერესელიძის დანიშვნის შესახებ" საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს.

დანართი: 5 ფურცელი.

პატივისცემით,

ნოდარ კერესელიძე

მინისტრის პირველი მოადგილე

www.moa.gov.ge
6 Marshal Gelovani ave. Tbilisi 0159, Georgia Phone/Fax (+995 32) 2378013